საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №58
2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

„რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №382 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №382 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016693) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 8^1 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:“**.

2. ბრძანებით დამტკიცებული „რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრის წარმოების წესის“:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი ადგენს რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების (შემდგომში – რესტრუქტურიზებული ვალდებულებები) ერთიანი რეესტრის (შემდგომში – რეესტრი) წარმოების წესსა და პირობებს.“;

ბ) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამონაწერი რეესტრიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რეესტრში ჩანაწერის არსებობა, ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის ფაქტი და დავალიანების დაფარვის მდგომარეობა;“;

გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეესტრი შედგება სამი განყოფილებისაგან:

ა) პირველი განყოფილება – სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მყოფი საწარმოების განყოფილება;

ბ) მეორე განყოფილება – სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის რეჟიმიდან გამოსული, ვალდებულებების მქონე საწარმოების განყოფილება;

გ) მესამე განყოფილება – სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის რეჟიმიდან გამოსული, ვალდებულებების არმქონე (დახურული) საწარმოების განყოფილება.“;

დ) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს;“.

3. ბრძანებით დამტკიცებული „რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრის ფორმის“ (დანართი №1) მეოთხე და მეხუთე განყოფილებები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**